# სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 5 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შემოიტანონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 4 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 4


„სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო"

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—8 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის" ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო" თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები.

მონაწილენი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



უზომო მწუხარებასა შინა მყოფნი ქვრივი ეკატერინე ვასილ მესხის ასული კვიცარიძისა, ირინე გიორგაძის ასული კვიცარიძისა, სიმონ პავლეს ძე კვიცარიძე და ელენე პავლეს ასული მუმლაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას: პირველი ქვირფასი მეუღლისა, მეორე დაუვიწყარი შვილისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელი ძმისა ნიდვორნი სოვეტნიკის

ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძისას.

გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან დანიშნულია სოფ. ოფურჩხეთს, 8 თებერვალს, დილით 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება ოფურჩხეთის წმიდა გიორგის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ხუთ საათზე.

3—2



ხ. ხ. ი. გოკიელის ძ-ბის ქუთაისში

ერთად-ერთი წარმ-მადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

აბრეშუმის ჭიის თესლის

ხ. ხრისტოდულიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.



ჭიანჭველის ზუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი. 12—3



ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის

უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.



ქუთაისი.

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.



ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.



გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ



ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).



ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)



კბილის მენადარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.


## ბაქოელ ქართველთა მოწოდების გამო.

ამ დღეებში ქ. შ. წ. კ. ქუთ. განყოფილების გამგეობამ მიიღო ბაქოს განყოფილების თავჯდომარის ი. ოდიშელისაგან შემდეგი მოწოდების ბარათი: „ბაქოში ადგილობრივ წ. კ. საზოგადოების თაოსნობით შესდგა ომისაგან დაზარალებულ და დამშეულ საერთო დამხმარე კომიტეტი. კომიტეტს განზრახვა აქვს დამშეულ თანამოძმეებს სანოვაგე მიაწოდოს, ჩრდილოეთ კავკასიაში სიმინდი უყიდოს და დაურიგოს. ხოლო მან არ იცის დასავლეთ საქართველოში თავად-აზნაურობის მიერ მოწყობილ დასახელებულ მიზნისათვის კომიტეტს გარდა არსებობს თუ არა ხსენებულ მიზნით სხვა ორგანიზაცია, რომელიც იკისრებს ბაქოდან მოწოდებულ სიმინდის ხალხში ისე დარიგებას, რომ დახმარებამ თავის დანიშნულებას მიაღწიოს. ამიტომ გთხოვთ გვაცნობოთ, არსებობს თუ არა ასეთი დაწესებულება და, თუ არ არსებობს, მოსალოდნელია თუ არა ამ მოკლე დროში მისი დაარსება?

როგორც ამ მოკლე შეკითხვიდან მკითხველი დაინახავს ბაქოელ ჩვენს თანამემამულეებს ძლიერ სადლეისო სახალხო საქმის მოწყობა უკისრიათ: ესაა სანოვაგით დახმარება ომში დაზარალებულთა და დამშეულთათვის დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს სადღეისო საკვანძო სწორეთ ომისაგან დაზარალებულთა და დამშეულთა საკითხია, რომელზეც პრესაში ძალიან ცოტას სწერენ, ალბათ ომის ამბებით გატაცების მიზეზით, ხოლო ცხოვრებაში ცოტა რამ ისევ ოფიციალურ საგუბერნიო, სათავად-აზნაურო და საქალაქო დაწესებულებებში კეთდება. გასაკეთებელი და დასახმარებელი კი ომამდიაც ბევრი იყო ამ მხრით და ახლა ხომ აუარებელია.

დასავ. საქართველოში შიმშილობის ამბავმა რუსეთის სატახტო ქალაქამდიაც კი მიაღწია და იქ უხუცესმა სამეცნიერო დაწესებულება „Вольно-экономическое общество"-მ პრაქტიკული ზომებიც მიიღო აქაურ მკვიდრის დასახმარებლათ. მან გამოუგზავნა 10000 მან. თავის წევრს ყოფილ დეპუტატს ევგენი გეგეჭკორს, რომელმაც შეადგინა ქუთაისში ამ საქმის მომწესრიგებელი კომიტეტი; ეს კომიტეტი ყიდულობდა ადგილობრივათ სიმინდს და ურიგებდა სოფლელ გლეხებს, საჭიროებისდა მიხედვით. დეპ. გეგეჭკორის მიერ შედგენილმა კომიტეტმა თავის მისია უკვე შეასრულა და მიღებული ფულებით ნაყიდი სიმიდი გლეხების გაჭირვებულ ოჯახებს გასაჭირის კვალობაზე სულ დაურიგა და მინდობილი საქმის სრული ანგარიში უკვე გაუგზავნა პეტროგრადში ხსენებულ საზოგადოებას.

დღეს ამ ომიანობის კიდევ უარეს ხანაში დასავლეთ-საქართველოს გაჭირვებულ მკვიდრზე მზრუნავი ახლა თვით კავკასიაში გამოჩენილან და საწყალ ხალხს დახმარებას პირდებიან. ესენი გადამთიელები როდი არიან, არამედ ისევ ჩვენი ძმები ბაქოელი ქართველები, რომელთაც დროიანათ შეუგნიათ თავის დასავლეთელ თანამემამულეების დღევანდელი გასაჭირი და დახმარების ხელს გვიწვდიან.

ამის საბუთია ზემორე მოყვანილი მოწოდება ქუთაისის წ.-კ. განყოფილებისადმი. ბაქოელ ქველმოქმედ ქართველებს ეს საქმე იქ ადგილობრივ წ.-კ. განყოფილებისათვის მიუნდვია და, მართლაც, ამ სახალხო საქმის გამო სათანადო დაწესებულებაც გამოუძებნია, მიუხედავათ იმისა, რომ მას ამგვარი საქმეების ოპერაციები წესდებაში არ უწერია. მაგრამ წესდებაში არც დღევანდელ ომიანობის გამო შიმშილობა უწერია რომელიმე საზოგადოებას და ამგვარ დახმარებაზე. მის ორგანიზაციაზე რომელი ჭკუათამყოფელი გეტყვის უარს, ხელს შეგიშლის!

იხელმძღვანელა რა ამ მოსაზრებით, ქუთაისის განყოფილების გამგეობამაც გულმხურვალეთ მოკიდა ამ საქმეს ხელი და იგი თავის საქმედ დაისახა.

გუშინ, ამ საქმის გამო, სახელოსნო კრება მოიწვია და კაიხნის თათბირის და აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: მიენდოს თავჯდომარის ამხანაგს ი. ოცხელს მოელაპარაკოს ბაქოელთა მოწოდების გამო გუბერნატორს და გამოითხოვოს ნებართვა, მოუწოდოს ქუთაისის კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენლებს ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ და საორგანიზაციო კომიტეტის შესადგენათ. ეს კრება, ალბათ, ამ დღეებში შესდგება, რადგან იგი დაყოვნებას არ ითმენს...

ამასთან ერთად გამგეობის გუშინდელ კრებაზე აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებაც, რომ უმჯობესი იქნება ბაქოელები ან სხვა სანოვაგით, მაგ. პურით, ფქვილით და სხ. დაეხმარებოდენ დღეს გაჭირვებაში მყოფთ, თავის თანამოძმეებს ან ფულათ გამოგზავნიდენ თავის წვლილს, რომ ადგილობრივათ იყიდოს არჩეულმა კომიტეტმა სიმინდი და დაურიგოს. ამას საფუძვლათ ის მოსაზრება და ცნობები დაუდო მთქმელებმა, რომ იმერეთის სხვა და-სხვა კუთხეში თუ შიმშილობაა, სამაგიეროთ დანარჩენებში კაი მოსავალი იყო და გასაყიდათ, რამდენიც გვინდა, იმდენს ვიშოვითო. ჩრდილოეთ კავკასიიდან სიმინდის ჩამოტანა კი არც ერთი მხრით ხელსაყრელი არაა. კრებამ დაადგინა ამ საკითხის გამორკვევა და გადაჭრა მიენდოს მომავალ საორგანიზაციო კომიტეტს.

როგორც ხედავთ, ბაქოელ ჩვენს თანამემამულეთა მოწოდება, რომლის აქ მოგვარების იქაური განყოფილება თავის მხრით ისევ თავის მონათესავე კულტურულ დაწესებულებას ანდობს,—მეტათ სიმპატიური და თანადროულია. ქუთაისურებსაც ამისთანა შემთხვევაზე მყისვე ყურების ცქვეტა მართებთ და საქმის ახლავე შედგომით სულითა და გულით უნდა თანაუგრძნონ ბაქოელების მოწოდებას.

ისო.

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

სამტრედია. ვსტირით და ვგლოვობთ ძვირფასი მგოსნის აკაკის დაკარგვას.

კულაშის ნორმალური სასწავ. მოწაფენი.

სოფ. გადმა-ჩუნეშის მცხოვრებნი, სულის სიღრმემდი დამწუხრებულნი საქართველოს სიამაყის, სამშობლო პოეზიის ბრწყინვალე მნათობის დიდებული აკაკის დაკარგვის გამო, ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას მთელი ქართველი ერის გლოვას და მუხლს ვიდრეკთ სასიქადულო მამულიშვილის ცხედრის წინაშე.

ორშაბათს, 2 თებერვალს, მრავალი ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადავიხადეთ.

სოფელ გადმა-ჩუნეშის მცხოვრებთა მინდობილობით კოწია ნეფსაძე.

ს. სიმონეთი. დიდათ დაგვამწუხრა ჩვენი სამშობლოს სიამაყის მგოსნის აკაკის გარდაცვალებამ. გთხოვთ ჩვენის სამშობლოის შვილთა მწუხარებას და გლოვას სიმონეთის სასწავლებლის მოწაფეების და მასწავლებლის ცრემლთა ფრქვევაც შეუერთოთ.

სიმონეთის სასწავლებლის მასწავლებელნი და მოწაფენი.

საქართველოს მზე ჩავიდა. მოსწყდა მნათობი ვარსკვლავი, დადუმდა ბაგენი, შეწყდა სიმთა ჟღერა. დაგვეკარგა საქართველოს დიდება და ქურუმი ქართული პოეზიისა. ქართველმა ერმა და ქართულმა ლიტერატურამ დაკარგა თვისი მშვენება. აღარა გვყავს ჩვენი სიამაყე აკაკი. მოგვშორდა იგი ჩვენ ხორციელათ, სული კი მისი მუდამ განუშორებლათ იქნება მის ტანჯულ ერის სულთან. ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას მთელი ქართველი ერის გოდებას.

არქ ელის გორის რამოდენიმე ოჯახის მონდობილობით კოწია ბოკუჩავა.

— —

სოფ. ვაკისუბანი (ქუთ. მაზრა). კვირას, 1 თებერვალს, გარდახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი ვაკისუბნის წმ. გიორგ. ეკლესიის მღვდლის მიხეილ მესხისაგან ქართველთა ერის მნათობის სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის სულის მოსახსენებლათ.

მასთან ცრემლით ვიზიარებთ საერთო მწუხარებას ჩვენი სასიქადულო მგოსნის აკაკის დაკარგვის გამო, რასაც გულითადის მწუხარებით ვუსამძიმრებთ განსვენებულის სახლობას და ქართველ ერს.

მღვდელი მიხეილ მესხი, მედავითნე თეოდორე გიორგაძე, სტაროსტა აზნაური გალაქტიონ მდივანი და მასთან ვაკისუბნის ეკლესიის მთელი მრევლი.

— —

მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ სამშობლოს სიამაყის დიდებული მგოსნის აკაკის ცხედრის წინაშე და ვეამბორებით მის ლამაზ ჭაღარა თმას.

ქუთაისის პირველი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მოწაფენი ილია უშვერიძე და ნიკოლოზ მესხი.

— —

ს. ხეთა. პირველ თებერვალს წმ სოფიოს ეკლესიაში გადავიხადეთ პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ მასწ. ეს. შუშანიამ სიტყვით მიმართა საზოგადოებას, მოკლედ, მაგრამ შინაარსიანად გააცნო აკაკი.

სხვა საქართველოს კუთხეებთან ერთად ვგლოვობთ ძვირფას აკაკის.

ერმინე კობახიძე.

— —

## ს ა მ ძ ი მ ა რ ი.

ჩვენი დროის ქართველი ერის საამაყო დიდებულის შვილის, მშობელი ერის გენიალური ნიჭითა და აზროვნებით დამაგვირგვინებელის პიროვნების, ჩვენი ნაციის სულისა და გულის ნადებთა ზეციურ ჰანგებით გამომეტყველის, მაღალ ტალანტოსან მგოსნის თავ. აკაკი როსტომის ძის წერეთლის გარდაცვალებამ, მომაკვდინებელ სნეულებით დაძლეული მოხუცი სულითა და გულით გამამწარა, ალმაშფოთა, გამახელა .. არა თუ მინდა განვიკურნო ჩემი სნეულებისაგან და ვიცოცხლო კიდევ აკაკის შემდეგ, თვით სიცოცხლე და გაჩენა ჩემი ამ ქვეყნად დამაგმობია, შემაჩვენებია...

ვემორჩილები რა ყოვლის შემოქმედების ნებასა და განაჩენს, ვუცხადებ დიდებულის მწერლის ოჯახს და ნათესავებს ჩემს გულითადს თანაგრძნობას და მონაწილეობას მათს მძიმე მწუხარებაში. ვუერთებ ჩემს ცხარე ცრემლს დაღვრილს ჩემს სარეცელზე, მათს ცრემლთა ნაკადულს და ჩემს გლოვას მათს გლოვიარობას.

მოუქარვებელს მწუხარებაში მყოფი წევრი ქართველი საერო ოჯახისა, უსამძიმრებ აგრეთვე მთელს ქართველობას ამ თავზარ დამცემ საერო უბედურებას.

ინუგეშოს, იამაყოს დიდებულის მგოსნის ოჯახმა, ინუგეშოს

ქართველმა ერმა მით რომ აკაკი არასოდეს არ მოკვდება და არც მისი საყვარელი მშობელი ერი, ალიგვება პირისაგან დედა მიწისა.

ვიდრეკ მუხლს დიდებული ადამიანის ცხედრის წინაშე, და მოწიწებით თაყვანს ვცემ მას.

მრწამს,—მე და ჩემი დიდებული მოძღვარი მალე ვიხილავთ ერთი მეორეს ზეციერს მსოფლიოში...

ქაიხოსრო გელოვანი.

— —

### ბრძოლის ველიდან.

თავზარი დაგვცა ჩვენი ძვირფასი მგოსნის დაკარგვამ.

გეამბორებით გაცივებულ მარჯვენაზე ჩვენი სამშობლოს სიამაყევ, და ვფიცავთ შენს უსულო გვამს, რომ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ჩვენი საბრალო სამშობლოსა და ერის საკეთილდღეოთ. მშვიდობით, მშვიდობით, მრავალი წამებულ სამშობლოს შვილო. მუხლმოდრეკით, იარაღით ხელში, გეთხოვებით თქვენი საყვარელი სამშობლოსა და ერის ის ახალგაზდანი, დღეს მყოფნი უცხო მხარესა და მდგომნი სიკვდილის გზაზე.

ომში მყოფნი ჯარის კაცთა მონდობილობით ილია მარგველაშვილი.

საქართველოს მნათობის, დიდებულის მგოსნის აკაკის სიკვდილმა გული მოგვკლა, ვუერთებთ საქართველოს საერთო მწუხარებას ჩვენს გულის ტკივილსაც.

ს. მუხურის სამი ეკკლესიის კრებულის და მრევლის მონდობილობით

მღ. გალაქტიონ აბესაძე.

— —

კვირას, 1 თებერვალს, მუხურის მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში, ადგილობრივმა მღ. მ. გალაქტიონ აბესაძემ, ურიცხვი ხალხის თანადასწრებით გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლად, მ. გალაქტიონმა გრძნობიერის სიტყვით განუმარტა ხალხს აკაკის ბიოგრაფია და მოღვაწეობა, ხალხში ქვითინი ისმოდა.

სევ. ბარბაქაძე.

— —

მთელ საქართველოსთან ერთად, ქუთაისის ქართველი ქალები მწარე ცრემლს ღვრიან სასიქადულო მამულიშვილის აკაკის ცხედარზე. იგი ქართველ ქალს ყოველთვის სულიერ სიწმინდეს და ზნეობრივ სიფაქიზეს ასწავლიდა. ქართველი ქალი გაჰყვება შენ მიერ დასახულ გზას, დიდებულო მგოსანო, რადგანაც იგი შენ დააჯერე იმაში, რომ „ცა ფირუზ—ხმელეთ ზურმუხტი“ ქვეყანა „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

ქუთაისის ქართველი ქალები.

— —

სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დამხმარე საგზნაურო კომიტეტთან არსებული ქალთა წრე გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას და თავიანთი ცხარე ცრემლებს უერთებს ქართველთა ბურჯის სულმნათი აკაკის საერთო გლოვას.

ქ-ამ. თავმჯდომარე კნ. ნინო წერეთლისა.

## ქართველ ებრაელის სიტყვა.

ეს სიტყვა წაკითხულ იქნა სტუდენტ ბ. ელიგულაშვილის მიერ.

კვირას, 1 თებერვალს, ებრაელების დანიშნულ პანაშვიდზე, სინაგოგაში.

ბ—ნო! ქართველ ერს დიდათ სამწუხარო და თავზარდამცემი ამბავი მოგვევლინა! მან დაჰკარგა თვისი სასიქადულო შვილი, ყველასაგან ცნობილი დიდებული მგოსანი აკაკი, რომელიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქართველ ერის წინამძღოლათ ითვლებოდა კულტურულ წინმსვლელობაში. იგივე იყო გენიალურ პოეზიის მამამთავარიც, ჩვენთვის ქართველ ებრაელებისათვისაც,—რომლებიც საუკუნოების განმავლობაში ისტორიულათ შესისხლხორცებულნი ვართ ქართველ ერთან, რომლებისთვისაც ქართული ენა ითვლება მშობლიურ ენათ და აღზრდილნი ვართ ქართველ მწერლების ნაწარმოებზედ, ეჭვი არ არის დიდ დანაკლისათ უნდა ჩაითვალოს, დიდებულ მგოსნის გარდაცვალება.

მე ვსთქვი, რომ ქართველ ერს დაეკარგა—მეთქი თვისი საუნჯე, სპეტაკი არსება და ქართული პოეზიის გენიოსი, რომელმა გენიოსმაც გაასალკდევა ჩაგრული ერი და თვით ქართულ ენას ხალხოსნური შალაშინი გაუსვა, რითაც მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ლიტერატურას, და ყველა ამისათვის კი როგორც დიდსულოვანმა ადამიანმა, სულ მცირე რამ მოითხოვა.

„დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ,
ჩემს მიწას მიმაბარეო;
ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო
სამშობლო მხარეო“.

საყურადღებოა ვიცოდეთ რა თვალით უყურებდა მგოსანი სხვა ერებს, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც თითქმის ქვეყნის გაჩენიდანვე დაჩაგრულნი, დავრდომილნი არიან და ძლევამოსილი ერების წინაშე, თვისდაუნებლიეთ, ქედს იხრიდა, და ყოველთვის დუხჭირ ცხოვრებას განიცდიან. ერთი ასეთი ერი არის ებრაელთა ტომიც.

ჩვენმა სასიქადულო მგოსანმა აკაკიმ, თავის ერის ბედს ებრაელთა ტომიც შეუერთა და ორთავეს დამხმარე და მოსარჩლე იყო.

ებრაელთა ტომის გამოსარჩლება ნათლად გამოიხატება მისივე ლექსში, რომელიც იწყება შემდეგ სიტყვებით:

„ჰგოდებს ისრაილ, მოსთქვამს იუდა;
და ებრაელნიც სტირიან ერთხმათ,
რომ ბაბილონის ამიერიდგან,
გადაქცეულან მონებათ და ყმათ“.

თუმცაღა ამ ლექსის იდეიათ თავის მშობელ ერის ჭირ—ვარამს დაღადებს მგოსანი, მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, თუ როგორის მოწიწებით და სიყვარულით იხსენიებს უკვდავი პოეტი, მრავალ ტანჯულ—ებრაელთა ხალხს.

მგოსანი აკაკი არ მომკვდარა, მოკვდა მისი სხეული, სახელი კი მისი უკუნისუკუნისამდე იარსებებს და დაუვიწყარი იქნება, ვიდრე აკაკის ლამაზი, ტურფა, სამშობლო, პატარა საქართველო იარსებებს, ვიდრე ქართველ კაცს გულში არ ჩაუქრება თვისივე ქართველობა და გამსჭვალული იქნება ნამდვილ მაღალ ქართულ გრძნობებით.

მგოსანმა აკაკიმ სიცოცხლეშივე დაიდგა და აიშენა თვისივე ძეგლი, რომელიც ძეგლიც უკუნისამდე დაუმსხვრეველი იქნება და მუდამ ჟამს იარსებებს.

მან, აკაკიმ სიცოცხლეშივე შეიმკო ცხოველი შუბლი დაფნის გვირგვინით და სიცოცხლეშივე მისმა პატარა ერმა, მადლობის ნიშნათ, მის კეთილ-მოღვაწეობის გამო შეამკო მგოსნის უმწიკვლო შუბლი ხოტბით და დაფნის გვირგვინით და გულის ფიცარზე ღრმად და აღმოუფხვრელად დაიბეჭდა მისი სახე და სახელი.

კიდით კიდემდე ძაძით შემოსილი საქართველო ფიცსა სდებს დიდებულ ცხედრის წინაშე, რომ მის ნაკარნახევ იდეალებსა და აზრებს არ უღალატოს და საქმეთ აქცევს. ჩვენც ქართველი ებრაელნი სიხარულით ვეგებებით ქართველ ერის ასეთ გულისთქმას და მოზარდი თაობა ებრაელებისა ვეცდებით ჩვენი წვლილიც შევიტანოთ, ჩვენთვისაც სამშობლო ქვეყნის საბედისწეროთ.

## რუსული პრესა,

(ნარკვევი).

აკაკის შესახებ პეტროგრადის გაზეთი „რეჩი“ სწერს:

თვის მამულში ქუთაისის გუბერნიაში გარდაიცვალა ქართველი ერის დიდი პოეტი აკაკი წერეთელი, რომლის პოპულიარობა ქართველთა შორის თაყვანისცემამდი მიდიოდა. რამდენიმე წლის წინად ქართველებმა გადაუხადეს ორმოცდა ათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე. საქართველომ ეს ამბავი ეროვნულ დღესასწაულადა და ზეიმად აქცია. მისი სიკვდილი კი ერის გლოვად გამოისახა.

მისი ნიჭი ფრიად მრავალფეროვანი იყო. აკაკი იყო ავტორი მრავალ ელეგიისა, ხალხურ სიმღერებისა, სატირებისა და მოთხრობებისა, რომელშიაც გადაიშალა მისი ნაზი ლირიზმი და უწყინარი იუმორი. თუ საქართველოში ყველამ არ იცის კითხვა, სამაგიეროდ ზეპირად ვრცელდებოდა ანდაზები, აფორიზმები და გონება მახვილი ანეკდოტები, რომელთაც ხალხი ყოველთვის აწერდა „დიდებულ აკაკის“ სახელს. არაჩვეულებრივ პატივისცემისა და სიყვარულის გამო ხალხი აკაკის აკუთვნებდა

## ქართველთ კერას!..

(საყვარელ აკაკის გარდაცვა[illegible] გამო).

საქართველოს ფირუზ ცის თაღს მოკაშკაშე მოსწყდა სხივი...
ცას გულ-მკერდი დაუბნელდა... აეცალა ვერცხლის მძივი...
ცამ ღაწვები დაიკაწრა... ცა ატირდა, აქვითინდა;
მშობელ მიწის ბნელ სამარეს მიაბარა სატრფო-წმინდა!..
შავ, შემზარავ ღრუბელთ ქსელში გაეხვია მანგი მთვარე...
ცამ დაჰკარგა მზე პირ-მნათი, მზე ცხოველი, მონარნარე.
ვარსკვლავთ შორის შესწყდა წმინდა ცის მნათობთა ქნარის ჟღერა
და ზე ამვრენ მელოდიის მოჰხიბვლელი ჰანგთა ბგერა!..
ცის ღრუბელი ძირს დაეშვა, თან ცრემლები გადმოღვარა,
ცრემლთ მორევათ გარდაქცია მთისა წყარო, მთის ანკარა;—
ცის ეთერს არ აკაშკაშებს მნათობთ მეფის სხივთ სრიალი,
ცა სჭექს, ცა ჰქუხს და მის მკერდზე ჰქრება ვარსკვლავთა ცვალი!!.
განისვენებს სამუდამოდ საქართველოს ლვიძლი შვილი,
მან დასტოვა თვის სამშობლო, ბრძოლის ველად გადაშლილი.
განისვენა, ვისაც მარად ხელში ეპყრო წმინდა ქნარი,
ვისაც სურდა სიმთა ჟღერით შეეცვალა გლოვის ზარი!
განისვენა, ვინც რომ მუდამ უგალობდა თვის ქვეყანას,
ვინც ცდილიდა შავსა რიდეს ცხოვრების ძნელ გამოცანას!..
ცივ სამარემ შეიწირა ქართველ ხალხის მოამაგე,
აღარ ისმის მისი მღერა... არ მეტყველობს მისი ბაგე.
ქართველთ კერავ! აქვითინდი, აქვითინდი ცრემლი ჰღვარე,
შენ,—მიდამოვ მშობელ ქვეყნის, შავი რიდე მოიფარე.
ტყევ-უღრანო, ტყევ-ფოთლილო, შავი ძაძა მოიხვიე...
იმკვნესარე შენც, მთა-წმინდავ, ცრემლთ ნაკადი შენც აფრქვიე...
ოჰ, მყინვარო, ცივ მკერდიდან აღმოხეთქე ცეცხლის წვიმა,
მრავალ ტანჯულ საქართველოს დღეს სიკვდილმა გაუღიმა...
შენც იტირე მთის თხემიდან მონაწთომო ანცო წყაროვ!..
ცრემლად იქეც, ცრემლად დადნი, ცის ცვარ-ნამო სანეტაროვ...
შენც დაჰქროლე, იზუზუნე, ისისინე მძაფრო ქარო...
თქვენც იტირეთ: ალაზანო, იორო და დიდო მტკვარო,
ხომ კი გესმით ცივ გომბორის გულის კვნესა სამწუხარო!?.
გულო ჩემო, აბობოქრდი, შეუერთდი მოძმეთ გლოვას,
თვალნო ჩემნო, ნუღარ შესწყვეტთ მწუხარების ცრემლთა თოვას!
დაე, ჩვენი მოთქმის ზარი მოეფინოს მთელს სამყაროს,
დაე, ირგვლივ, მის საფლავზე მწარ ცრემლთა ზღვა ყველამ ჰღვაროს!..

მ. ანაშვილი.

## გ მ ი რ ი   დ ე დ ა.

(მექსიკანელთა ცხოვრებიდან).

როცა ხუანის დედამ დაკოსტამ შეიტყო, რომ მისი უნცროსი შვილი მანუელი ხუტრის პრეზიდენტის რაზმმა ტყვეთ წაიყვანა და დახვრეტასაც უპირებენო, უსიტყვოთ დაეშვა სავარძელზე და ფიქრს მიეცა.

მისი უფროსი შვილი ხუანი გმირულათ მოკვდა, და მით მეამბოხეთ დიდი დახმარება გაუწია.

დატყვევების დროს მას ისეთი საწინააღმდეგო ქაღალდები აღმოაჩნდა, არც კი გაუსამართლებიათ, ისე დახვრიტეს.

ვიდრე დაიმორჩილებდენ, მან თავისი მახვილით ერთი აფიცრისა და ორი ჯარის კაცის მოკვლა კიდევ მოასწრო.

დედა და რამდენიმე ნათესავი წამების დღეს დაესწრენ. დედა უყურებდა თეთრს კედელზე მიკრულს თავის შვილს, როგორ ამაყათ ეჭირა თავი და, თითქოს აქ არაფერიაო, პაპიროზს აბოლებდა.

მას ისე ეჭირა თავი, როგორც გმირს შეეფერება.

როცა პაპიროზის წევა გაათავა, პირიდან ნამწვი გადმოაგდო, ერთხელ კიდევ გადაავლო დედას თვალი და გულდამშვიდებულმა მკაფიოთ წარმოსთქვა:

ჯარის კაცნო, გახსოვდეთ, რომ თვითოეული მსხვერპლი თავისუფლების საქმეს უფრო მაგრად სჭედს, ვიდრე აფერხებს. ჩემის დასჯით მის განმტკიცებას ხელს შეუწყობთ, რისთვისაც მადლობას გწირავთ და ღმერთსა ვთხოვ, რომ შემინდოს ყველა ჩემი შეცოდებანი.

ათი თოფიდან ერთდროულათ ნასროლმა ტყვიამ შეაწყვეტინა უკანასკნელი სიტყვები. ოდნავ შეინძრა, ჩაიჩოქა და გასისხლიანებული მიწაზე დაეცა.

ამნაირათ წუთისოფელს გამოესალმეს დაკოსტას უფროსი შვილი და როდესაც დედამ შეიტყო, რომ იგივე ბედი უნცროს შვილსაც მოელისო, უცბათ ხუანი მოაგონდა.

დედას ხუანი უფრო უყვარდა, ვიდრე მანუელი.

მანუელი მშიშარა იყო და თუ მეამბოხეთა რაზმში მონაწილეობას იღებდა, ისიც იმიტომ, რომ მათი ძალიან ეშინოდა.

სასამართლოში განსჯის დროს დაჩოქილი, თვალცრემლიანი მანუელი მსაჯულებს ევედრებოდა და ჰპირდებოდა ამხანაგების გაცემას, ოღონდ სიცოცხლე ეჩუქებინათ.

მსაჯულებმა მისი ხვეწნა-ვედრება არ შეიწყნარეს.

მსაჯულებს ეგონათ, რომ მანუელი, როგორც ცნობილი დაკოსტას ოჯახის ერთი წევრთაგანი, შვილი ფერდინანდისა და ძმა ხუანისა, ატყუებდა მათ.

— თქვენ დაინახავთ,-- სთქვა პოლკოვნიკმა,—სასამართლოს თავმჯდომარემ,— როცა იგი დარწმუნდება, რომ ხსნა აღარსაიდან არის, ისეთნაირათვე პირმცინარე შეხვდება სიკვდილს, როგორც მისი ნათესავები.

სასამართლოს განაჩენის მოსმენის შემდეგ გონება მიხდილი მანუელი ციხეში წაიყვანეს.

საღამოს შვილის სანახავათ დედა ციხეში წავიდა. ამისთვის ციხის უფროსისა და დარაჯების მოსყიდვა იყო საჭირო, რომლებსაც მანუელის დედამ თითქმის თავის ქონების ნახევარი მისცა.

დედა მოუჯდა მტირალ შვილს, ხელი ხელზე მოჰკიდა და დამშვიდებულის ხმით უთხრა:

— შვილო მანუელ, პოლკოვნიკი ვნახე და ყველაფერი მოვაგვარე.

მანუელმა დასისხლიანებული თვალები გაახილა და გულს იმედის ნათელი ჩაუდგა.

— რას ამბობ?—ხრინწიანი ხმით ჰკითხა შვილმა. დედამ შეატყო, რომ შვილს ეშინოდა და ენაზე იკბინა. ამ წუთას დედას ჭირივით შესძულდა შვილი, თუმცა მძულვარებას არ იმჩნევდა, რათა ოჯახის სახელი დაეცვა.

— პოლკოვნიკმა მითხრა, ვითომ შენ მთავრობისთვის ერთგული სამსახური აღგვეთქვას, თუ რომ სიცოცხლეს გაჩუქებდენ.

— მართალია! ნაღვლიანის ხმით მიუგო შვილმა, მაგრამ მაგანაც ვერაფერი მიშველა.

— სცდები, შვილო, პოლკოვნიკი მზათ არის შენს წინადადებაზე დათანხმდეს. შენ მალე გაგანთავისუფლებენ.

ამის გამგონე მანუელი სიხარულით აინთო, საკუთარ ყურთა-სმენას არ უჯერებდა.

— პოლკოვნიკს უნდა, რომ—განაგრძო დედამ,—ყველაფერი საიდუმლოებით იყოს მოცული. თუ ჩვენებმა გაიგეს, რომ შენ სასჯელი გაპატიეს, იცოდე შენთვის არ იქნება კარგი.

— ჰო... ჰო... მართალია...

— დამიგდე ყური. ყველაფერი მოხდება ისე, როგორც მუდამ ხდება ხოლმე. თოფები მარტო ცარიელი პატრონებით იქნება გატენილი. როცა ჯარის კაცები თოფს გესვრიან, შენ თავს მოიმკვდარუნებ და დაეცემი. შემდეგ დასამარხათ ჩემთან წამოგიღებენ. ჩემგან კი ცარიელ კუბოს გაიტანენ, და ამნაირათ გადარჩები.

ამ სიტყვების შემდეგ დედას პირზე ღიმილი მოადგა და შვილს ალერსის ნიშნათ თავზე ხელი გადაუსვა.

შემდეგ ტანისამოსს გამოიცვლი, წვერს დაიყენებ და პოლკოვნიკის აზრით ვე... ღარავინ გიცნობს. რასაკვირველია ყვე... ლაზე უწინ ჩვენებთან მოხვალ.

— მუდამ მაგაზე ვფიქრობდი,—წაი... ბუტბუტა შვილმა.

— მაგრამ... მაგრამ... მერე რა? შე... ეკითხა დედა.

— მერე ისა, რომ რისთვის არის ს...

უველა კარგსა და კეთილს, რაც ქართულს ენაზე გამოვიდოდა ხოლმე.

სხვა დროს ერი მას ლეგენდარულ ბრძნად შექმნიდა.

არც პუბლიცისტიკა იყო განსვენებულისათვის უცხო, რომელშიაც შექმნიდა თვისებისამებრ სიტყვებს და სარკაზმი.

წარმომავლობით წერეთელი შვილის შვილის შვილი იყო იმერეთის მეფის სოლომონ მეორისა. განათლება მიიღო პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე. ზოგიერთი მისი ნაწარმოები თავის დროს გადათარგმნილ იქნა რუსულ ენაზე ივ. ტხორჟევსკის და გ. ველიჩკოს მიერ. რამდენიმე ლექსი ფრანგულსა და გერმანულ ენაზედაც არის თარგმნილი.

მისი ნაწერების მთელი კრებული არ გამოცემულა. დაახლოვებით 20 ტომამდი შეიცავს განსვენებულის თხზულებანი.

წერეთელი 75 წლისა გარდაიცვალა.

ამავე საგნის შესახებ მეორე რუსული გაზეთი „კიევსკაია მისლი“ გულმტკივნეულად ამბობს.

ძნელი წარმოსადგენია საქართველოს მწუხარება, რომელიც აკაკის დაკარგვამ გამოიწვია!

მიტომ, რომ ძნელი წარმოსადგენია ცოცხალი ადამიანი ასეთი საყვარელი და მეტიც—სადმერთებელი ყოფილიყვეს როგორც აკაკი.

მეგობარი, საყვარელი ქართველი ხალხისა, მისი მგოსანი, იგი იყო ხალხისათვის მთელი ეროვნული პოეტური სიდამაზის ცოცხალი განხორციელება. ძნელი განსასაზღვრელია, რა მიიღო აკაკიმ ხალხისგან და რა აჩუქა მას: რადგანაც ყველაფერი ერთი სულისაგან შექმნა, რომელიც ერთიანად არსებობს ხალხის მრავალგვარ შემოქმედებაში და რომელმაც პოეტის სულში ძვირფას საჩუქრად აირჩია.

იგი მღეროდა—და მისი სიმღერები ხალხის საკუთრებად ხდებოდა, მისი მისწრაფი.

ხალხიც მღეროდა—და პოეტის სულში ინთებოდა და ბრწყინავდებოდა მრავალფეროვანი ძვირფასი თვლები იმავე ხალხური პოეზიისა.

სალიტერატურო ბრძოლის ასპარეზზე იგი გამოვიდა ოცნებისა და აღორძინების ხანაში. ილია ჭავჭავაძესთან ერთად მან ჩაუყარა საძირკველი ხალხოსნობას, რომელმაც გასწყვიტა კავშირი ფეოდალიზმის ნაშთებთან.

ილია ჭავჭავაძე სწერდა მოთხრობებს, რომელშიც ხატავდა ხალხის ტანჯვას ბატონ-ყმობის ბორკილებში, აკაკი წერეთელი კი ყურს უგდებდა ხალხის სულის კვეთებას და მისი მისწრაფების, ლტოლვილების, სევდის და მწუხარების პოეტი იყო.

მისი სიმღერა ხალხის გულს მისწვდა, მასთან ერთად—იცოცხლებს საუკუნოდ, რადგანაც ხალხი უკვდავია, მაშ უკვდავია პოეტიც.

---

პირო ასეთი თვალთმაქცური წამება? მე ამაში არავითარ სიამოვნებას ვერ ვხედავ, თუმცა თოფები ტყვიით არ იქნება გატენილი.

— არავითარ სიამოვნებას! შეუყვირა განრისხებულმა დედამ—ნუ თუ შენში ვაჟკაცობის ნასახიც კი არ მოიპოვება? შენ ისეთი მხდალი ხარ, რომ მგონი ასეთ თვალთმაქცურ წამებასაც ვერ შესძლებ. შე გლახა. შენ უნდა იცოდე, რომ თუ ყველა იმას, რასაც გავალებ შეასრულებ, გმირის სახელს მოიხვეჭ... შენ შეგიძლიან გაიცინო კიდეც, იმ დროს, როცა ჯარის კაცებს უბრძანებენ: „ესროლეთ!“.

შემდეგ დედამ თავი ვეღარ შეიკავა და ტირილი მორთო.

— კარგი, დედაჩემო,—უთხრა ჰაბუკმა, რომელიც დედის ცრემლების დანახვაზე აღელდა და სიტყვა მისცა, რომ იგი თვის წინაპრებს არ შეარცხვენს და სიცილს დაიწყებს.

დადგა წამების ჟამი. მანუელის სიმშვიდემ და გაბედულებამ თანამემამულეთა გული სიამაყით აღავსო. იგი, როგორც ხუანი თეთრ კედელს მიჰკროდა, ამაყათ ეჭირა თავი, პაპიროზს სწევდა და თან იღიმებოდა.

— მე არ გითხარით?.. გაახსენა პოლკოვნიკმა სამხედრო სასამართლოს ერთს წევრთაგანს, აფიცერს.—მე ვიცნობ ამ ხალხს...

როდესაც მანუელი პაპიროზის წევას მორჩა, გაისმა ბრძანება. ჯარის კაცები სასროლათ მოემზადნენ. მანუელი არ დრკებოდა, იღიმებოდა.

აფიცერმა ხელი აიქნია. გაისმა თოფის საშინელი გრიალი და მტრის ტყვიებით გულგანგმირული მანუელი მიწაზე დაეცა.

**სან—ტირი.**

# ახალი ამბავი.

ჩვენი რედაქცია თფილისს თავის წარმომადგენლით აკაკის დაკრძალვაზე დასასწრებლათ გზავნის ალ. თორაძეს და გ. ჯაიანს, თვით რედაქტორი ი. ეკალაძე, ავადმყოფობის გამო დაკრძალვას ვერ დაესწრება.

✦ ქუთაისის წყალსადენის საქმე. თფ. ქალაქის ინჟინერმა ზ. ქურდიანმა ნაქერალას ქედის კალთები უკვე დაათვალიერა. ზ. ქურდიანის გამოანგარიშებით, ორი წყარო სრულიად საკმარისია ქუთაისისთვის დასაკმაყოფილებლათ. ხსენებული წყაროები ქუთაისს დღეში ნახევარ მილიონ ვედრო წყალს მისცემს.

✦ 1 თებერვალს, ბალახვანის ქუჩის შოთა რუსთველის სახელობის სამკითხველოში გადახდილ იქნა პანაშვიდი სასიქადულო მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. დეკ. სპ. ლეკვეიშვილმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვა წარმოსთქვა ს. ლაჭყეპიანმაც.

✦ დღეს თფილისის სამოსამართლო პალატა, საოლქო სასამართლოს დარბაზში გაარჩევს გაზ. „იმერეთის“ რედაქტორის ბ. ჯაიანის საქმეს. ბ. ჯაიანს ბრალდება ბროშურა „უბრალო ჰეშმარიტებანი“, გამოცემა. ამავე დღეს გაირჩევა გაზ. „აზრის“ რედაქტორის კ. ცერცვაძის ორი საქმე.

✦ ხონის ახალგაზდათა მესამე გასაწვევ უბანში, სამხედრო ბეგარის მოსახდელათ კენჭის ამოღება 2 თებერვლიდან დაიწყო. კენჭის ამოღება 9 თებერვლამდი გაგძელდება.

3 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა სანოვაგის მომწყობი კომისიის კრება.

✦ კვირას, 1 თებერვალს, ქუთაისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში შესდგა ქუთაისის ქართველ ქალთა კრება, იმ მიზნით თუ რა რიგ აღენიშნათ აკაკის ხსოვნა. კრებამ აირჩია დეპუტაცია, რომელთაც დაავალეს თფილისში წასვლა და სიტყვის თქმა. დეპუტაციაში არჩეულ იქმნა ქ.ქ. ფედოსი ქვარიანისა, ნინო წერეთლისა და ელენე გიორგის ასული წერეთელი.

გარდა ამისა კრებამ აირჩია კომისია, რომელთაც დაევალათ ფულების შეკრება, აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ. კომისიის თავჯდომარეთ აირჩიეს კნ. ნიცა წერეთლისა, წევრებათ ქ.ქ. ანასტასია ჩაჩიბაიასი, ეპრაქსია ერისთვისა, მარო ჩიჯავაძის ასული და კეკელა ნიჟარაძის ასული.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ ქართულ გიმნაზიის მოწაფეებს გადასცა 50 მანეთი, აკაკის დაკრძალვაზე წასასვლელათ.

✦ როგორც გავიგეთ ნაოლალევის პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში ქართულს სრულებით არ ასწავლიან.

✦ პ. ფრანგიშვილის საღამო-მეჯლისი ქალაქის თეატრში გაიმართება სამშაბათს, 10 თებერვალს.

✦ აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ ფული შემოსწირეს შემდეგმა პირებმა: როსტოვიდან ელიაძემ 100 მანეთი, ექიმ გაბრიელ გოკიელმა 25 მანეთი, აკაკი ჩხენკელმა და კარლო ჩხეიძემ 25 მ.

✦ 3 თებერვალს, ღამით, არქიელის გორაზე ცეცხლი გაუჩნდა ნიკოლოზ ლოლაძის სახლს. სახლი მთლათ დაიწვა. ზარალი 3,000 მანეთამდია.

თფილისის სამოსამართლო პალატა ქუთაისში დარჩება 15 თებერვლამდი.

✦ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეთა დეპუტაცია თფილისს აკაკის დაკრძალვაზე დასასწრებლათ უკვე გაემგზავრა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით, ამ დღეებში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში გაიმართება კონცერტი, რომლის შემოსავალიც გადაეცემა ფოთის ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

✦ ქალაქის საბჭოს მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათს, 9 თებერვალს.

✦ 7 თებერვალს, ვორონცოვის ქუჩაზე სასტუმრო „თფილისში“ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სერგო ძოწენიძის მოძრავი ქონება, რაც შეფასებულია 217 მ. და 11 შაურათ.

## ნიკოლოზ დევდარიანის ხსოვნას.

კვირას, პირველ თებერვალს, ქუთაისში, ოლასკურის სასაფლაოზე, მიწას მივაბარეთ სოხუმიდან გადმოხიზნულ დამსახურებული მასწავლებლის ნიკოლოზ დევდარიანის ცხედარი.

განსვენებულმა თბილისის საოსტატო ინსტიტუტში სწავლის დამთავრების შემდეგ 30 წლის განმავლობაში იმსახურა მასწავლებლად და ინსპექტორად ყარსისა და ერევნის სამოქალაქო სასწავლებელში. მიუხედავათ იმისა, რომ ის ყოველთვის მუყაითად და პატიოსნად ეკიდებოდა თავის მოვალეობას, ბოლო დროს მაინც იძულებული გახდა სამსახურისათვის ძალა უნებურად თავი დაენებებია და დასჯერებოდა მცირე პენსიას, სულ წლიურად 400 მანეთს, რომლითაც ის ინახავდა ავადმყოფ ცოლს და ექვს შვილს.

სახელმწიფო სამსახურის შემდეგ, 1905 წელში, ის მსახურებდა ოლიზრდელად თფილისის ქართულ გიმნაზიაში იმ დროს, როდესაც ამ გიმნაზიის გამგედ იყო განსვენებული შიო ჩიტაძე. უბედური შიო ჩიტაძის ვერაგულად მოკვლის დროს, ის გადარჩენილა მით, რომ ერთად თავის ერთ ამხანაგთან მას ჩაუსწრია დასამალავად სარდაფში.

ამ ბოლო დროს ის გამოსული იყო სამსახურიდან და ცხოვრობდა თავისი მცირე პენსიით. განსვენებულს დარჩა ქუთაისში, ნაქირავებ სახლში, ავადმყოფი ცოლი და ექვსი შვილი, ამათგან ერთი ვაჟი ბრძოლის ველზეა წასული. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, პატიოსანო მუშაკო!

## მოწერილი ამბავი.

**სოფ. აბაშა**, სენაკის მაზრა. 26 იანვარს აქ მოხდა აბაშის მეორე საკრედიტო ამხანაგობის წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრო ინსპექტორი წვრილი კრედიტის თ-დი ა. ს. ნიჟარაძე, რომელმაც კრებას აუწყა სამწუხარო ამბავი დიდებული მგოსანი აკაკის გარდაცვალების შესახებ. შემდეგ ინსპექტორი შეუდგა ამხანაგობის გამგეობის მოქმედების და წიგნების განხილვას და ყოველივე რიგიანად ნახა და კრებას აცნობა გამგეობის ნაყოფიერი სამსახური, რაზედაც კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხადა გამგეობას. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა წმინდა მოგებიდან 80 მანეთი მიემატოს ძირითად თანხას და 40 მანეთი სათადარიგოს, 25 მანეთი საჩუქრად მიეცეს მოანგარიშე კ. თ., ხოლო ათ-ათი მანეთი გაეგზავნოს: 1) მხცოვან მგოსანი აკაკის ფონდის სასარგებლოდ 2) თფილისის ქართული თეატრის სასარგებლოდ და 3) ჯარში გაწვეულ მეომართა ღარიბ ოჯახების სასარგებლოდ, ხოლო 12 მან. მიეცეს აბაშის უფასო პირველ სამკითხველოს. დასასრულ, კრების სურვილის თანახმად ადგილობრივმა მღვდელმა გ. ცერცვაძემ პანაშვიდი გადაიხადა სასიქადულო მამულიშვილის აკაკის სულის მოსახსენებლად, რაზედაც მთელი კრება დაესწრო.—ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ გეგზავნებათ ოცი მანეთი ფოშტით: 10 მანეთი აკაკის ფონდის სასარგებლოდ და 10 თეატრის სასარგებლოდ და გთხოვთ გადასცეთ კუთვნილებისამებრ.*)

გამგეობის თავჯდომარე: **ირ. თოფურიძე.**

# ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: ნემანსა და ვისლის შუა ფრონტზე პირველ თებერვალს ბრძოლა სწარმოებდა დაახლოებით იმ რაიონებში, სადაც წინა დღით ხდებოდა. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვეულებრივი სროლა იყო. კარპატებში ავსტრიელების მედგარი იერიში მოვიგერიეთ სვიდნიკთან, სადაც რამდენიმეთ წინ წავიწიეთ. ვისლის მარცხენა ნაპირზე და მდ. ზემო სანასთან ხელში ჩავიგდეთ ათასზე მეტი ტყვე, 6 ტყვის მტყორცნელი და ზარბაზნები. გერმანელები უმიტისა და კოზიუვკის სიმაღლეზე, ბესკიდისა და ვიშკოვის უღელტეხილებს შუა იერიშის მოტანის დროს სასტიკათ დამარცხდენ და დიდი ზარალით უკუ იქცენ. ტუხლიდან და ვიშკოვიდან ჩვენმა ჯარმა კონტრიერიში მიიტანა მტერზე და მაღლობებიდან უკუაქცია. ნადვორნისკენ მიმართულ გზებზე და ბუკოვინაში ავსტრიელების დიდძალი ჯარი გროვდება.

**პეტროგრადი.** 3 თებერვალი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: ავგუსტოვის რაიონში 2 თებერვალს ჩვენი ჯარი მედგრათ შეებრძოლა გერმანელების აურაცხელ ჯარს, რომელიც ცდილობდა ჩვენი ორივე ფლანგის გარს შემოვლას. გრაევოდან მტრის კოლონა ოსოვეცის გზით წინ მოიწევდა. ვისლასა და ვზკროის შუა მტერმა ვლოცკის ფრონტამდი მოაღწია. ბზურასთან მტრის სუსტი იერიში მოვიგერეთ. ვისლის მარცხენა ნაპირზე მხოლოდ სროლა სწარმოებს. კარპატებში მდგომარეობა არ შეცვლილა. მდ. ზემოსანას მარცხენა ნაპირზე ჩვენ წინ წავიწიეთ. აქ ტყვეთ ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე აფიცერი და 600 მეტი ჯარის კაცი. აქვე გმირულათ მოვიგერეთ მტრის ახალი იერიში კოზიუვკასთან და ვიშკოვასთან. ბუკოვასთან მტერმა დაიჭირა ნადვორნა და გადმოდის მდ. სერეტზე.

**დასავლეთის-ასპარეზი.**

**პარიზი.** 2 თებერვალი. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ბელგიაში მტერი განუწყვეტლათ უშენდა ზარბაზნებს ჩვენს თხრილებსო. ჩვენმა მძიმე არტილერიამ შეუჩერებლივ დაუშინა ცეცხლი მტრის მარტირებსა და ბატარეიას დიუპეში. აქ 250 მეტრის სივრცეზე დავიკავეთ მტრის სანგარები, რომელიც ბეტიუნიდან ლაბასესკ ნ მიმართულ გზის გასწვრივ იყო გაკეთებული. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა ლასნას რაიონში და ალბერის მიდამოებში. მდინარეებს ავრსა და უაზს შუა და აგრეთვე სუასონისა და ვერნეილის მიდამოებში ვალის ჩრდილო დასავლეთით სასტიკი ბრძოლა ხდებოდა. არგონის სიმაღლეებზე ქვეითა ჯარის ბრძოლა არ მომხდარა. არგონებსა და მაასს შუა პირველ ხანში ჩვენ ხელი შეუშალეთ მტერს იერიშის მოტანათ. ლოტარინგიაში მტერმა ჩვენი საყარაულო რაზმი შეავიწროვა და დაიჭირა სიმაღლე, მაგრამ კონტრიერიშით მტერი მალე უკუვაქციეთ ამ სიმაღლიდან, თუმცა სიმაღლის ზოგიერთი თხრილები მტერმა ისევ შეინარჩუნა. მდ. ლოკის ორივე ნაპირზე შემჩნეული იყო გერმანელების მოქმედება იერიშის მოსატანათ, მაგრამ მტერი დაკმაყოფილდა მხოლოდ არტილერიის სროლით, რადგან მაშველი ჯარი არ ყავდა. მდინარის სამხრეთ ნაპირზე გერმანელებზე ჩვენმა მოწინავე ხაზის ჯარმა მარჯვე კონტრიერიში მიიტანა. ლანგელფელდკოფის დაფენებაზე ნაშუადღევს საშინელი ქარბუქი დაიწყო. საღამოს ოფიციალური ცნობით, აღსანიშნავია მხოლოდ ზოგიერთ რაიონში საარტილერიო ბრძოლა, მაგალითად იპრის ჩრდილო აღმოსავლეთით, სადაც მტრის ბატარეა ჩაჩუმებულ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლის წყალობით და არასის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც გერმანელების თხრილები განადგურებულ იქნა. პერტის რაიონში ჩვენი არტილერია მარჯვეთ ესროდა მტრის სანგარებს.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**აფეთქება ბულგარეთში.**

**სოფია.** 1 თებერვალი. დღეს, ღამით, იმ დარბაზში, სადაც გამართული იყო საღამო მეჯლისი მასკარადით და, სადაც აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი, აფეთქება მოხდა. მიზეზი გამოურკვეველია. ფიქრობენ, აფეთქება მოხდა ყუმბარით, ან ჯოჯოხეთის მანქანით. აფეთქებით მოკვდა ერთი, დაიჭრა 10, რომელთა შორის ორი მძიმეთაა დაჭრილი. სწ... რმოებს გამოძიება.

**ბუქარესტი.** 2 თებერვალი. სოფიიდან იტყობინებიან, რომ აფეთქების დროს დაჭრილებულთა შორის არის ... ვის მეუღლე, რომელიც დაჭრილია ფეხში ყუმბარის ნამსხვრევებით. ბულგარეთის ყველა დიდ ქალაქში ჯარს აეკრძალა ყაზარმებიდან გამოსვლა. ბულგარეთის გაზეთებს აუკრძალეს ამის შესახებ ცნობების გამოქვეყნება და მიჯილობის გამართვა. ბულგარეთის წრეებში ამ მოვლენას სთვლიან სერიოზულ მოქმედებათა დასაწყისათ, რომელიც მიასწავებს მეფის საწინააღმდეგოთ გამოსვლას. ბუქარესტში ამ თავდასხმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აქაურ პოლიტიკურ წრეებში ამ მოქმედებას პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ და სთვლიან ახანდელი რადოსლავოვის კაბინეტის საწინააღმდეგოთ.

**ამერიკა.**

**ვაშინგტონი.** 2 თებერვალი. გერმანიის ელჩმა ბერნსდორფმა შტატების მთავრობას გადასცა გერმანიის საპასუხო ნოტა, რომელშიც სწერია, რომ გერმანია მზათაა უარყოს თავის განზრახვა ინგლისის სავაჭრო გემების დატყვევების შესახებ, თუ უკეთუ ინგლისი თავის მხრით ხელს არ შეუშლის გერმანიის საზღვრებში მშვიდობიან მცხოვრებთათვის სანოვაგის შეტანას.

**იტალია.**

**რომი.** 2 თებერვალი. დაარსდა კომიტეტი, რომლის მიზანიც დალმაციის შეერთებაა იტალიასთან. პროგრამაში ჩამოთვლილია მთელი რიგი იმ ადგილებისა (დაწყებული ფიუმედან, როგორც მაგ. სპალატო, რაგუზა, ზარა, ალბისსა), რომელნიც უნდა შეუერთდენ იტალიას.

**სპარსეთი**

**თეირანი.** 3 თებერვალი. რამდენსამე დღეს შემდეგ ნაწილი შვეციის ჟანდარმერიის ინსტრუქტორებისა სპარსეთს დასტოვებენ. მიზეზი ჯამაგირის მიუცემლობაა. ვალიაგდას გამგზავრება თავრიზს წინანდებურათ ყოველდღე იდება. სპარსეთის მთავრობა და საზოგადო აზრი თანაგრძნობით უცხადებს რუს მოხელეებს იმ ჰუმანიური მოპყრობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს სპარსელებისადმი თავრიზის დაკავების შემდეგ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

**გერმანია.**

ჟურნალისტებთან საუბრის დროს გრაფმა ცეპელინმა განაცხადა: ჰაერში ბრძოლა ერთად ერთი საშუალებაა ომის წარმატებისთვის. თუმცა, ახლო მომავალში, ამ მხრივ შეიძლება უზრუნველყოფილი არ ვიყოთ, რადგანაც ცეპელინები ჯერ კიდევ არ არიან უნაკლულონი, მაგრამ ჰაეროპლანებს კი ბევრათ სჯობიათ.

**გერმანელების მოწოდება.**

დატყვევებულ გერმანელ ჯარის კაცებს შემდეგი მოწოდება აღმოაჩნდათ:

„ჯარის კაცნო! ჩვენ ვუახლოვდებით ვარშავას,—იმ მხარეს სატახტო ქალაქს, სადაც ექვსი თვეა, რაც გერმანელების სისხლი იღვრება და სადაც ჩვენმა ჯარის კაცებმა თავისი გმირული მოქმედებით მტერი გააკვირეს.

მტერს ესმის ამ ქალაქის მნიშვნელობა და ამიტომ მის დასაცავათ კავკასიიდან და ციმბირიდან ჯარი მოიკრიფა. მაგრამ ჩვენი ჯარი მიიწევს წინ და ანადგურებს გზა და გზა რაც კი მოხვდება. ვარშავის აღებისთანავე ჩვენი გამარჯვებაც დაგვირგვინდება. ჩვენ მდ. ვისლის ორთავე მხარეზე გავმაგრდებით და მტერს პირობებსაც წარუდგენთ. გერმანიის ლაშქარმა ყველა ღონე უნდა მოიკრიბოს და ვარშავა უნდა აიღოს.“

**ოსმალეთი.**

კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარმა, არაბთა რაზმთან ერთად მაგომარიდან ჩრდილოეთით ზაღდადსა და ომარის შუა დაიჭირა პროვინცია გავისი, სადაც ინგლისის მოწინავე რაზმები იყო დაბანაკებული. ოსმალები ბასორაში შეჭრას ცდილობენ.

—

ოსმალეთის სამხედრო მთავრობამ ნავთსადგურები იაფფა და კაიფა ჩაკეტა, რის

*) ფული ჯერ არ მიგვიღია, როცა მივიღებთ გადავცემთ. **რედ.**

გამოც ამერიკის კრეისერს „ტენესი“-ს შეძლება ვერ მიეცა გამოქცეულები წაეყვანა და ალექსანდრიაში ცარიელი დაბრუნდა. სუეცის არხიდან ოსმალეთის ჯარი უკან იხევს.

— ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ სუეცის არხთან ბრძოლის დროს ერთს გერმანელ მოკლულ აფიცერს, რომელიც ოსმალეთის ჯარში მონაწილეობას იღებდა, ტანზე შემოხვეული ხაკის ფერის ტომარა აღმოაჩნდა, და შიგ თეთრი ბაირაღი ჰქონდა.

### რ უ ს ე თ ი.

ომისგან გამოწვეულ უბედურებასთან ერთად, ტომსკის უნივერსიტეტი ამ ჟამათ დიდ გაჭირვებას განიცდის. ნაწილი აუდიტორიებისა დაჭერილი აქვს ჯარს. უსახსრობისა გამო ბევრი სტუდენტი ომში წავიდა. ქირურგიის ორი პროფესორი მოხალისეთა რაზმში ჩაეწერა. ერთი ამათგანი ავსტრიელებს უკვე ტყვეთ წაუყვანიათ. ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი ულაბორანტოთ დარჩა.

### გ ე რ მ ა ნ ი ა.

გერმანელ ჟურნალისტმა გარსმა გენერალურ შტაბის ნებართვით, იმოგზაურა ჩრდილოეთ საფრანგეთში და ბელგიაში. გაზეთ „ბერლ. ტაგებლატში“ გარმსის მოგზაურობის შთაბეჭდილება არის დაბეჭდილი.

— პირველი შეკითხვა იყო ყველასაგან, — ამბობს გარმსი — როგორია ჩვენი ჯარის სულიერი განწყობილება? იმას, ვისაც სურს ჯარის სულიერი განწყობილების სიღრმეს ჩასწვდეს, ჩვეულებრივი სიტყვებით „კარგი“, „ცუდი“ არ უნდა კმაყოფილდებოდეს. მე უნდა პირნათლათ მოგახსენოთ, ამასთან შეცდომისაც არ მეშინიან: აფიცრები და ჯარისკაცები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ მათში ბევრი ისეთებიც არიან, რომელთაც არ უნდათ ომი მალე გათავდეს.

### ი ნ გ ლ ი ს ი.

თემთა პალატამ გადაწყვიტა ახალი სამი მილიონის ჯარის შესანახათ საჭირო ხარჯი იკისროს.

---

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ ვილჰელმი აღმოსავლეთის ფრონტიდან ფარულათ ბერლინში მივიდა, სადაც სხვა გენერლებთან ერთად მოლტკეც მიიღოვო.

### რუმინია და ბულგარეთი.

ხმები იმის შესახებ, ვითომ რუმინია ავსტრიის წინააღმდეგ სამოქმედოთ მობილიზაციას აწყობდა, არ გამართლდა. ნამდვილათ კი რუმინია უფრო ავსტრიის და გერმანიის მომხრეა.

უკანასკნელ დროს ბულგარეთისა და რუმინიის რკინის გზის მთავარ წარმომადგენელთა მოლაპარაკების შესახებ ბევრსა სწერდენ რაღაც ოცნებით მოსილ საკითხების გადასაწყვეტათ და აგრეთვე ცნობებს იძლეოდენ რკინის გზის კონვენციის შესახებ.

ახლა კი ყველაფერი გამოირკვა და თუ ბულგარეთი და რუმინია საერთო საკითხებში ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან, სამაგიეროთ ავსტრიის მიმართ ერთსულოვნობას იჩენენ.

რუმინიამ მთელი თავისი ზედმეტი ხორბალი მიჰყიდა ავსტრიას და სიმინდის შეტანასაც ხელს უწყობს. ამ მიზნით ბახნში საგანგებო საბაჟოც მოაწყო. ბულგარეთს არ სურს რუმინიას ჩამოშორდეს: იგი თავის რკინის გზის უფროსს გზავნის რუმინიის ამხანაგობასთან მოსალაპარაკებლათ იმის შესახებ, თუ რუმინიის გზით როგორ მიაწოდონ ავსტრიას ბულგარეთიდან ხორბალი, რომელიც ადრევე ავსტრო-გერმანიის აგენტებს ქონდათ ნაყიდი.

ავსტრიამ რომ მალე მიიღოს ეს ძვირფასი ნოვათი, ამისთვის რუმინიაში ავსტრო-გერმანიის ვაგონები იქნება გაგზავნილი. აქ იშლება სასაცილო სურათი: რუმინია ტრანსილვანიის დაპყრას ლამობს და ავსტრია კი, იმის მაგივრათ, რომ გაფრთხილდეს, რუმინიაში ვაგონებს ჰგზავნის.

საქმის ასეთი ვითარება არამცთუ მარტო ავსტრიისათვის არის სასარგებლო, არამედ იმ სენატორებისა და დეპუტატებისათვისაც, რომელიც ნეიტრალიტეტის დაცვის საჭიროებას ქადაგობენ (რ. ს.)

---

## მ ო წ ო დ ე ბ ა.

18 ამა თებერვალს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში კავკასიის ოლქის მზრუნველის ნებართვით გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი საუკეთესო ძალები, მომღერალთა ორი გუნდი: ქალებისა და ვაჟების, გიმნაზიების მოწაფეთაგან შემდგარი, კლასიკური გიმნაზიის ორკესტრი და კიდევ სულ პატარა ბავშები, რომელნიც ჭკრჭკრობით არსად არ სწავლობენ. კონცერტი უეჭველათ ძალიან სასიამოვნო იქნება და თვით მიზანი მისი კი ფრიად სიმპატიურია. იმართება ფოთის ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ, რომელნიც ძალაუნებურათ არიან ქალაქ ფოთიდან აქ გადმოხვეწილნი და ამჟამათ განიცდიან დიდ გაჭირვებას ყოველი მხრით.

იმედია, ქუთაისის პატივცემული საზოგადოება ჩვეულებრივათ ხელს გაუწვდის ზემოხსენებულ გაჭირვებულთ და დაესწრება ამ კონცერტს, რითაც გარდა თვისი სიამოვნებისა, ფოთის საქალთო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთ აღმოუჩენენ უსაჭიროეს სახსარს ცხოვრებისას.

კლასიკური გიმნაზიის დირექტორი
კოტილევსკი.

---

## ქართველი დაჭრილი ჯარის კაცნი მოსკოვში.

(სია გამოგზავნილია საკუთარი კორესპონდენტისაგან).

1. სტეფრიაშვ მაქსიმეს ძე გულბანიძე, ს. საზანო, შორაპნ. მაზ. მარცხენა ხელი მოსჭრეს.

2. მოლოკელიძე ნოე ზოსიმეს ძე, ს. გორა, ქუთ. მაზრა, მარცხენა ხელში მძიმეთ.

3. მშვილდაძე ნოე დარმანტის ძე, ს. ობჩა, ქუთ. მაზ. ფეხში მძიმეთ, მუხლს ქვევით.

4 კაზანაშვილი სტეფ. ივანეს ძე, ს. ბაკურიანი, გორ. მაზ. მარცხენა ხელში, მძიმეთ.

5. წიკლაური შიო ივანეს ძე, დუშეთ. მაზრა, ს. მაქარა, მსუბუქათ.

6. ცხვარ ძე ილარიონ დიმიტრის ძე, საჩინოველი (ქუთ. მაზ.) მსუბუქათ.

7. ციცქიშვილი იასონ დომენტის ძე, ს ვეტყვი ჭალა. შორაპნ. მ. ოქრიფოთაა, დაჭრილი არაა.

8. წულაია ილ რ. კისტას ძე, ს. ხორგა, ზუგდ. მ მსუბუქათ...

9. წურწუმია კიმოთე პეპუს ძე, სოფ. დიდნეში, ზუგდიდ მ. მსუბუქათ.

10. ქარმელაშვილი გიორგი სტეფ. ძე, ს. ერქეშა, ბორჩალოს მაზრა, თფ. გუბ. მარცხენა ხელშია დაჭრილი.

11. ჰიჰინაძე ბესარ. ნიკ. ძე, ს. ხიდაშა, შორაპნ. მ. მსუბუქათ.

12. ჩიძირაშვილი იოსებ გრიგოლის ძე, მანგლისი, თფ. გუბ. მსუბუქათ.

13. ჩინჩარაული გიორგი ხვიჩილის ძე, ს. ვარცლი დუშეთ. მ. მსუბუქათ.

14. ჩხაიძე მარკოზ გლახუას ძე, სოფ. აცანა, ოზურგეთ მაზრა, მსუბუქათ მარჯვენა ფეხში.

15. ჭეიშია ანდრია უჩანის ძე, სოფ. ჯუმჯა, ზუგდ. მ. მარცხენა ხელშია დაჭრილი.

16. ჭაბუკიანი სოლომ. ანდრიას ძე, ცაგერი, ქუთ. გ. მარჯვენა ფეხშია დაჭრილი.

17. ჭეიშვილი კონდრატი დავითის ძე, ქუთაისიდან, მარცხენა ფეხშია დაჭრილი.

18. ჩუბინიძე ვასილ მიხეილის ძე, ს. შროშა, ქუთ. გუბ. მარჯვენა ბეჭშია დაჭრილი „დუმ-დუმის“ ტყვიით.

19 ჩუტია თევდორე ეგნატეს ძე, სოხუმიდან, ხელშია დაჭრილი.

20. ჩულაიშვილი სვიმ. ისაკის ძე, ს. საქობო, სიღნაღ, მ. მძიმეთ.

21. ჩადუნელი გიორგი შაქროს ძე, ს. ვეშლოვანი (თუ ვაშლოვანი) გორის მაზრა. მსუბუქათ.

22 შიუკაშვილი ნესტორ ჩურჩუნას ძე, დ. ცხინვალი, გორ. მ. მსუბუქათ.

23. დარბუაშვილი ვას. გრიგ. ძე, გორიდან. დაზიანებულია (КОНТУЖЕНЪ).

24. სულეიმანიშვილი ზაქრო მიხეილის ძე, მანგლისი, თფ გ. დაჭრილია ფეხში.

25. კოტუა მიხ. იასონის ძე, ხობი, ზუგდ. მ. ყური ტკივა.

26. კვიტია ტრიფონ ჯოჯოს ძე, სოფ. ნაბაკევი, სამურზაყ. მ. დაჭრილია ხელში.

27. ფონცულაია ივანე ოქროპირის ძე, ფოთელი. დაჭრილია მძიმეთ.

28. ჯოჯუა ნიკ. ივანეს ძე, ს. კუხზუ, სენაკ. მ. ქუთ გ. მსუბუქათ.

29. მარგველაშვილი დავით პავლეს ძე, ს. არგვეთი — ქვიშხეთიდან. მძიმეთ.

30. ლუაშვილი გიორგი დავითის ძე, ბავარციხე, სიღნაღ. მ. ფეხში მძიმეთ.

31 ჩულაძე ილია გიორგის ძე, ს. კარდილაური, თელავ. მ. მსუბუქათ.

32. ჩიხლაძე სევასტიანე ბესარიონის ძე, ქვიშხეთი, შორაპნის მაზ. ნერვები დასუსტებული აქვს.

33. ბენაშვილი ივანე გიორგის ძე, ს. მირზაანი, სიღნაღ. მ. მსუბუქათ.

34. ჭრელაშვილი მელიტონ საბას ძე, ს. დიმი, ქუთ. მ. მსუბუქათ.

ზემო ჩამოთვლილ დაჭრილების შესახებ ცნობებს მიიღებთ ამ მისამართით: მოსკოვი, ქართველი საზოგადოების ლაზარეთი, პოვარსკაია, სახლი სუხოდოლსკისა. სტ. ვლ. რამიშვილი.

---

## პატარა ფელეტონი.

### ლატაკის სიყვარული

(თარგმანი).

ერთ ღარიბ ყმაწვილს გაგიჟებით უყვარდა ერთი სახელოვანი მსახიობი ქალი.

რამოდენიმე ხანმა განვლო, რომ ყმაწვილს არც უსვამს და არც უჭამია; მიზეზი ამისა ის იყო, რომ მას სურდა ეყიდა ქალისათვის მშვენიერი თაიგული. რაც კი რამ გააჩნდა ყოველივე გაყიდა და დააგირავა. გაყიდა ტანთსაცმელი, — წიგნები, დააგირავა ერთად-ერთი ლეიბი თავის საწოლისა, მოისესხა ფულები თავის ამხანაგ-მეგობრებში და სრულიად უარყო ყოველივე სიამოვნება.

ისედაც გამხდარი მთელ ღამეებს უძილობასა და მწარე ნაღვლიან ფიქრებში ატარებდა. სრულიად გაიცრიცა.

ფიქრმა დაძლია.

მას უნდა ეყიდნა თაიგული — თაიგული მშვენიერი, ას ორმოცდა ათ ფრანკიანი!

— „უკეთესი აღარ იქნება“, — უთხრა გამყიდველმა...

სამი დღის განმავლობაში იგი ყოველ საღამოს დაიარებოდა თეატრში პასუხის მისაღებად.

საქმე იმაში იყო, რომ მან თაიგულში ჩადო ბარათი, რომელიც მოუთხრობდა ქალს სიყვარულს გაგიჟებულს და ამაღელვებელს, სიყვარულს ნაზს და მომხიბლველს...

ერთ საღამოს, როდესაც თეატრის დარაჯმა უთხრა, რომ „პასუხი არ არისო,“ მას არ გაკვირვებია. უთუოდ ახალგაზრდა ქმნილებას არ ეცალა ერთი წუთით, რომ პასუხი დაეწერა და გამოეგზავნა ყმაწვილისათვის. არც მეორე საღამოს იყო პასუხი და არც მესამეს!

იგი, ცრემლ-მორეული გაუდგა გზას.

— ოხ, რა შეუბრალებელი, რა ულმობელი ყოფილა! — ფიქრობდა ვაჟი. მაგრამ არა, არა, იგი მშვენიერ შეხედულებასთან ერთად კეთილია!.. ამხნევებდა თავის თავს — დღეს არ მიპასუხა, მარა სულ ერთია, ხვალ მიპასუხებს. რასაკვირველია, იგი მიპასუხებს ორი ან სამი სტრიქონით.

კოცნით მოჰფენს იმ ბარათს, — მის ნაწერს...

— კი, კი, ხვალ — არ უნდა დაეცე სულით. არა!

იგი სრულიად არ ფიქრობს იმაზე, რაც გაჰყიდა, დააგირავა, — იმარხულა, — არ ფიქრობს იმაზე, რომ იგი გალატაკდა თაიგულის ყიდვით, იგი იქნება ბედნიერი, როდესაც მიიღებს მისგან ბარათს, დამშვიდდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაიკითხავს მის ხელთნაწერს, როდესაც ამოიკითხავს მგზნებარე სტრიქონებს სიყვარულისას...

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც იგი მიდიოდა შუა ბაღში, მან დაინახა, რომ ერთ შენობიდგან გამოვიდა ყვავილების გამყიდველი ქალი.

ვაჟმა უეცრივ შეჰკივლა. ყვავილებით მოვაჭრე ქალს ხელში მისი დამჭკნარი თაიგულიც ეჭირა.

მან იცნო იგი და უკანასკნელი გროშით იყიდა.

ხელების კანკალით, ფარნის სინათლეზე გადუშალა თაიგული და... შიგ კი თავისი ბარათი ნახა.

მშვენიერმა, მაგრამ გულცივ მსახიობ ქალს არც კი წაეკითხა სიყვარულისაგან გადარეულ ლატაკის ბარათი...

თამარა აბდუშელიშვილისა.

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| თფილისიდან | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| ბათომიდან | 10 ს. 5 წ. დილ. |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| ფოთიდან | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თფილისში | 7 ს. 55 წ. დილ. |
| ბათომში | [illegible] |
| | 4 ს. 27 წ. [illegible] |
| ფოთში | 4 ს. 14 წ. დღ |

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 კაპ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იყიდება საუკეთესო შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სარწმუნოების სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

განათლება-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე — პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე გ. გ. გიგინეიშვილი. თ.

ფოთის ახალ მაღაზიაში „უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ“

ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ

მაღაზიაში ი ყ ი დ ე ბ ა მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეიის, შლიაპებისა და ხელსაწარმოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟოვა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფულაქები, ფიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშვებისა და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქინელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკვრილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%.

პატივისცემით აინბინდერი.

თ.



მაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს, რომ მე გავეყარე ნ. ს. ტერკის ფირმას და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.



## ს ა კ უ თ ა რ ი მ ა ღ ა ზ ი ა;

ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა მომცემს მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინიდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.



მისამ. წერილ. და დეპეშ. ქუთაისი. აბრამ ტერკა.

## კალიგრაფიის (ლამაზი და ჩქარი წერის) კურსები.

(ნებადართულია მთავრობისაგან)

ვ უ ხ წ ო რ ი ე ბ წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაინშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის. — სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს. — სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვასრულებ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას. — კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე. კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13. თ.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

## „გ ა ნ თ ი ა დ ი“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს — 2 მან 60 კ., პირველ აპრილს — 1 მან. და პირველ ივნისს — 1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიკო მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჭუღელთან და კავკავში: თ. ის. შერაზ. დორქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спирид. Панцхава.

სტამბა ა. ი. ჭიჭინაძისა - ქუთაისში.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე